საქართველოში ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტის შეფასების საკითისათვის

ნანა რინკიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, nana.rinkiashvili@tesau.edu.ge

გურამ იოსებაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, gurami.iosebashvili@tesau.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ყურძნის სუბსიდირება; ეკონომიკური მექანიზმები; ღვინის ექსპორტი; სტიმულირება.
J.E.L. classification: H25, R51 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.09

ციტირებისთვის: რინკიაშვილი ნ., იოსებაშვილი გ., (2025) საქართველოში ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტის შეფასების საკითხისათვის. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 97-104 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.09

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია 2008-2023 წლებში საქართველოში ყურძნის სუბსიდირების მიზნები, შედეგები, პრობლემები და გამოწვევები. გაანალიზებულია სუბსიდირების როლი სოფელ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის დასაქმებაში, შემოსავლების სტაბილიზაციასა და ქართული ღვინის ექსპორტის სტიმულირებაში. განხილულია როგორც სუბსიდირების დადებითი მხარეები (ფერმერთა მხარდაჭერა, რეგიონული განვითარების ხელშეწყობა, ხარისხის გაუმჯობესება), ისე მისი უარყოფითი შედეგები (ბიუჯეტზე ზეწოლა, ბაზრის ბუნებრივი მექანიზმების დარღვევა, დამოკიდებულების გაღრმავება). კვლევა ეყრდნობა სტატისტიკურ ანალიზსა და პორტერის „ალმასის“ მოდელზე დაფუძნებულ შეფასებას. ნაშრომში ასევე, მიმოხილულია სუბსიდირების სოციალური და ეკონომიკური როლი, ვაზისა და ღვინის მოყვანის ტრადიციების და პერსპექტივების მნიშვნელობა საქართველოში.*

შესავალი

ყურძენი საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. მის მოყვანას და მოვლას კი დიდი ისტორია აქვს. მსოფლიო მასშტაბით აღიარებულია, რომ ღვინის სამშობლო საქართველოა, თავისი 8000 წლიანი ტრადიციით (ღვინის ეროვნული სააგენტო, 2025). ტრადიციის გარდა ყურძნის წარმოება და გადამუშავება განაპირობებს როგორც დასაქმებას, ასევე ქმნის სოფლის მეურნეობისა და ექსპორტის განვითარების შესაძლებ- ლობას. საქართველოს მთავრობა ახორციე- ლებს ყურძნის სუბსიდირებას, რათა დაეხ- მაროს მევენახეებს ფინანსურად და ხელი შეუწყოს ღვინის ინდუსტრიას განვითარებაში. სუბსიდიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეურნეობების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში, რაც განსაკუთრებით უწყობს ხელს ქვეყანაში სოფლების განვითარებას და დასაქმებას. თუმცა, სუბსიდირების პოლიტიკა სხვადასხვა ეკონომიკურ შედეგს იწვევს, რომელთა ანალიზიც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ეფექტების გასააზრებლად.

ძირითადი ნაწილი

მევენახეობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს და მისი როლიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კახეთის რეგიონი, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მევენახეობის დარგშია ჩართული და საოჯახო მეურნეობების შემოსავალიც მასზეა დამოკიდებული.

წლების მატებასთან ერთად საქართველოში ბევრ ფერმერს დაუგროვდა დიდი გამოცდილება მევენახეობის დარგში, მაგრამ მათი ბიზნესმენებად ჩამოყალიბება ვერ ხერხდება გარკვეული მიზეზების გამო. ამიტომ, ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებებია გასატარებელი.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი შემდეგი სახით ახდენს საქართველოს მევენახეებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების კლასიფიკაციას:

1) ყურძნის ფასები;
2) მიწების დანაწევრება/სიმცირე;
3) დაბალი ხარისხის ყურძენი და სხვა;
4) ფერმერების თანამედროვე ტექნოლოგიებთან ნაკლები წვდომა ან მათი გამოყენების არცოდნა (Kharaishvili, 2015)

მიგვაჩნია, რომ ყურძნის სუბსიდირებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები:

სუბსიდირების დადებითი მხარეები:

1. მევენახეების მხარდაჭერა – სუბსიდირების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ადგილობრივი ფერმერების დახმარება, განსაკუთრებით რთულ სეზონებში, როდესაც მოსავლიანობა ან ყურძნის ფასები შემცირებულია. ეს უზრუნველყოფს მათი ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას და მოტივაციას ღვინის წარმოებაში.
2. ღვინის ინდუსტრიის სტიმულირება – სუბსიდირება ეხმარება ღვინის მწარმოებლებს, ყურძენი უფრო დაბალ ფასად შეიძინონ და შესაბამისად, მათი წარმოების ხარჯები შემცირდეს.
3. რეგიონული განვითარება – მევენახეობა ძირითადად საქართველოს რეგიონებშია კონცენტრირებული. სუბსიდიები ხელს უწყობს ამ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას და მოსახლეობის დასაქმებას.
4. ექსპორტის წახალისება – ყურძნის წარმოების სტაბილიზაცია და ხარისხიანი პროდუქტის უზრუნველყოფა ზრდის ქართული ღვინის ექსპორტის შესაძლებლობებს და ქვეყნის ეკონომიკურ შემოსავალს.
5. კულტურული და ტურისტული მნიშ- ვნელობა – საქართველო ცნობილია ღვინის უძველესი ტრადიციებით. სუბსიდირების შედეგად ღვინის ხარისხის ზრდა და წარმოების გაფართოება ხელს უწყობს ღვინის ტურიზმის განვითარებას, რაც დამატებით შემოსავალს წარმოადგენს ქვეყნისთვის.

სუბსიდირების უარყოფითი მხარეები:

1. ბიუჯეტის დატვირთვა – სუბსიდირება ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი დან გამოყოფილი თანხები ხმარდება გარკვეულ სექტორს, რაც სხვა სფეროებიდან ფინანსური რესურსების გადამისამართებას იწვევს.
2. ბაზრის ბუნებრივი მექანიზმების დარღვევა – სუბსიდიებმა შესაძლოა გამოიწვიოს ყურძნის ფასების ხელოვნური შენარჩუნება და გაანეიტრალოს კონკურენციის ეფექტი, რაც მომავალში ბაზრის დინამიკას დააზარალებს.
3. ფერმერების დამოკიდებულება დახმარებაზე – ხშირმა სუბსიდირებამ შესაძლოა მევენახეები ნაკლებად მოტივირებული გახადოს ეფექტიანობის გასაზრდელად, ან ალტერნატიული გამოსავლის

ძიებისთვის.

4. ხარისხის კონტროლის პრობლემა – როცა სუბსიდირებულია არა ხარისხი, არამედ რაოდენობა, შესაძლოა ფერმერები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით.
5. სუბსიდირების არათანმიმდევრულობა – პერიოდულად სუბსიდირების პოლიტიკა არ არის გრძელვადიან პერსპექტივაზე მორგებული, რაც ქმნის გაურკვევლობას მევენახეებისთვის და ღვინის მწარმოებლებისთვის.

საქართველოს მთავრობა ყურძნის სუბსიდირებას ძირითადად ახორციელებს ფერმერებისა და ღვინის მწარმოებლების მხარდასაჭერად. სუბსიდირების ფორმები მოიცავს პირდაპირ ფინანსურ დახმარებას, კრედიტებზე შეღავათიან პირობებს, მოსავლის დაზღვევას და ინვესტიციების ხელშეწყობას. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს ისეთ წლებში, როდესაც მოსავლიანობა შემცირებულია ან საერთაშორისო ბაზრებზე ღვინის ექსპორტის პრობლემებს ვაწყდებით.

სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს გაიღებს ქართული ღვინის პოპულალიზაციისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში გარკვეულმა ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა შეძლეს როგორც ევროპის, ასევე აზიისა და ამერიკის ქვეყნების ბაზრებზე ადგილის დამკვიდრება, თუმცა ამ ბაზრებზე გატანილი ღვინის მოცულობა საერთო წარმოებული ღვინის მცირე ნაწილს შეადგენს. 2024 წლის მონაცემებით ტოპ 5 საექსპორტო ბაზარია: (GBC, 2025)რუსეთი - $176,26 მლნ;

1) პოლონეთი - $15,17 მლნ;
2) ყაზახეთი - $9,76 მლნ;
3) ჩინეთი - $8,2 მლნ;
4) გერმანია - $5,57 მლნ.

როგორც ვხედავთ, ქართული ღვინის უმეტესი ნაწილის ექსპორტიორი ქვეყანა კვლავ რუსეთია.

საინტერესო შედეგები მოგვცა პროცესის დინამიკაში ზოგიერთი მაჩვენებლის (ყურძნის წარმოება, სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხები და ღვინის ექსპორტის მოცულობა) განხილვამ.

ყურძნის წარმოება საქართველოში წლების მიხედვით (ათასი ტონა)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორების მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით

დიაგრამა 2

სუბსიდიის წლიური მოცულობა 2008-2023 წ. (მილიონი ლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორების მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით

დიაგრამა 3

ღვინის ექსპორტისგან მიღებული შემოსავლები (მლნ.დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორების მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით

დიაგრამა 1 გვიჩვენებს, რომ საქართველოში ყურძნის წარმოება იზრდება და წინა წლებთან შედარებით გაორმაგებულია.

დიაგრამა 2-ის მიხედვით სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხები საქართველოში მზარდია, ყველაზე დიდი მაჩვენებელი კი 2022 წელს დაფიქსირდა - 150 მილიონი ლარი.

დიაგრამა 3 გვიჩვენებს, რომ ღვინის ექსპორტისგან მიღებული შემოსავლები იმატებს და ბოლო წლებში მათმა რაოდენობამ 250 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ყურძნის სუბსიდირების ეფექტიანობის ანალიზი მრავალფაქტორიანია. მას ყავს ერთი მხრივ მომხრეები, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ყველანაირად უნდა დაეხმაროს მევენახე ფერმერს, მათ შორის ფინანსურადაც. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ სახელმწიფომ უნდა

შეწყვიტოს სუბსიდირება და ბაზარმა თვითონ უნდა დაარეგულიროს პროდუქტის ფასები.

ყურძნის სუბსიდირების პოლიტიკა მოკლევადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში საჭიროებს უფრო ბალანსირებულ მიდგომას.

ჩვენი აზრით, თუ სუბსიდიები გამოყენებული იქნება სწორად, იგი ხელს შეუწყობს ფერმერებს და ღვინის ინდუსტრიას გაძლიერებისკენ, თუმცა საჭიროა მათი დროული კორექტირება, რათა არ მოხდეს ბაზრის მექანიზმების ხელოვნური დარღვევა. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია სუბსიდირება გახდეს მიზანმიმართული, რათა ფერმერებმა ყურადღება გაამახვილონ არა მხოლოდ მოსავლიანობის რაოდენობრივ მხარეზე, არამედ ხარისხზეც. ასევე, გრძელვადიანი მდგრადობისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ალტერნატიული ეკონომიკური მექანიზმები, როგორიცაა:

- ინოვაციების ხელშეწყობა – სუბსიდიების ნაწილი შეიძლება მოხმარდეს ტექნოლოგიურ განვითარებას და მევენახეების გადამზადებას.
- დაზღვევის სისტემების გაუმჯობესება – სახელმწიფო შეიძლება დაეხმაროს მევენახეებს მოსავლის დაზღვევის მექანიზმების გაძლიერებაში, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთ გაუმკლავდნენ კლიმატურ და ეკონომიკურ რყევებს.
- ბიო ღვინოების წარმოების ხელშეწყობა - სტიმულს მისცემს მევენახეებს მაღალი ხარისხის პროდუქტის მოყვანაში, რაც ასევე საერთაშორისო ბაზრებზე ქართულ ღვინოს უფრო დადებითად წარმოაჩენს.
- ღვინისა და ყურძნის საწყობების და ინფრასტრუქტურის განვითარება - მნიშვნელოვანი როლი აქვს, როგორც პროდუქტის ხარისხის შენარჩუნებაში, ისე ინდუსტრიის საერთო ეფექტიანობის გაუმჯობესებაში და პროდუქტის გაფუჭების რისკის შემცირებაში.

დასკვნა

ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები საქართველოში მრავალმხრივია. ერთი მხრივ, ის აძლიერებს ფერმერებს, ზრდის დასაქმებას და ხელს უწყობს ღვინის ინდუსტრიის განვითარებას. მეორეს მხრივ, პრობლემაა საბიუჯეტო რესურსის გამოყენება და ბაზრის ბუნებრივი მექანიზმების დარღვევა.

მნიშვნელოვანია, რომ სუბსიდირების პოლიტიკა იყოს მოქნილი, ადაპტირებული ბაზრის მოთხოვნებზე და გააზრებულად განხორციელებული, რათა მისი გრძელვადიანი ეფექტი პოზიტიურად იქცეს ქვეყნის ეკონომიკისთვის. აუცილელებია სუბსიდიები მიემართოს არა მხოლოდ რაოდენობრივ, ყურძნის წარმოებაზე, არამედ ხარისხზე და ინოვაციებზე. სუბსიდირების სწორად წარმართვა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ადგილობრივი მევენახეობის გაძლიერებას, არამედ საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ზრდასაც.

ლიტერატურა:

1. Kharaishvili E., (2015) Viticulture, Wine Making and Diversification Opportunities in Georgia. TSU Science.

URL:https://www.researchgate.net/publication/299227729_Viticulture_Wine_Making_and_Diversification_Opportunities_in_Georgia

2. ღვინის ექსპორტი უმნიშვნელოდ გაიზარდა. Georgian Business Consulting (GBC), 10.01.2025.

URL:https://www.gbc.ge/news/economics/ghvinis-eqsporti-umnishvnelod-gaizarda

3. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა. URL:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba
4. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო - https://wine.gov.ge/